



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 120  
15/01/2018

ქალაქი ბათუმი

120-05-4-201801151755



### ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში რეორგანიზაციის დაწყების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე.“ ქვეპუნქტისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 102-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 104-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად **ვბრძანებ:**

1. საჯარო სამსახურის ინტერესებიდან გამომდინარე, სისტემური, ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში დაიწყოს რეორგანიზაცია.

2. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელს (მირზა ბახტაძე) კანონით დადგენილი წესით რეორგანიზაციასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების გეგმის შემუშავება.

3. რეორგანიზაციის პერიოდი განისაზღვროს 3 თვე.

4. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას (ნ. ქოქოლაძე) ბრძანების გაცნობა (მიწოდება) ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებისათვის.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა

